„ეამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

საქართველოს ჩემპიონატი 8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის უმაღლესი ლიგა

14 – 23 აპრილი, 2026 წ.

ქ. ბათუმი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე, ლეონიძის 15.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორები:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:

14.04 - 23.04. 2026 წ. ქ. ბათუმი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე, მის: ლეონიძის 15.

4. მონაწილენი:

4.1. ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს:

- 8 წლამდე - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 10 წლამდე - 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 12 წლამდე - 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 14 წლამდე - 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 16 წლამდე - 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 18 წლამდე - 2008 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;

4.2. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2026 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A

შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება.

4.3. 8, 10 და 12 წლამდე ტურნირებში დაიშვებიან შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატზე 1-3 ადგილზე გასული შესაბამისი ასაკის მოჭადრაკეები;
- 2026 წლის 8, 10 და 12 წლამდე საქართველოს ჩემპიონატების აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების პირველი ლიგებიდან - 5-5 მოჭადრაკე;
- 2026 წლის რეგიონული ჩემპიონატებიდან ადგილები მიეცემათ:

  3-3 ადგილი ქ. თბილისსა და იმერეთის რეგიონს, 2-2 ადგილი აჭარის ა/რ და სამეგრელოს რეგიონს, დანარჩენ რეგიონებს 1-1 ადგილი.

  ასევე დამატებითი ადგილები მიეცემათ რეგიონებს რეგიონული ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად: 5-14 მონაწილეზე 1 ადგილი; 15-24 მონაწილეზე 2 ადგილი; 25-34 მონაწილეზე 3 ადგილი; 35-44 მონაწილეზე 4 ადგილი და ა.შ.

5. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა ტურნირებში დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

6. დროის კონტროლი:

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და საწევრო შესატანი:

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/GL5k6sbcSwqVBzPt9 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) დაბადების მოწმობის ასლი; 2) აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე **GE95BG0000000363099200** ტურნირის საწევრო შესატანის (50 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 11 აპრილი 18:00 სათი.

თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია - 50 ლარი.

შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება.

7.2. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (11 აპრილის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს. ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com
მობ: 558 11 86 83

7.3. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 100 ლარი.

7.4. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
ანგარიშის ნომერი: **GE95BG0000000363099200**

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	8, 10, 12 წ.	14, 16, 18 წ.
ჩამოსვლის დღე	14 აპრილი		
I ტურის კენჭისყრა	14 აპრილი	20:00	20:00
გახსნა	15 აპრილი	10:15	15:45
I ტური	15 აპრილი	10:30	16:00
II ტური	16 აპრილი	10:30	16:00
III ტური	17 აპრილი	10:30	16:00
IVტური	18 აპრილი	10:30	16:00
Vტური	19 აპრილი	10:30	16:00
VI ტური	20 აპრილი	10:30	16:00
VII ტური	21 აპრილი	10:30	16:00
VIII ტური	22 აპრილი	10:30	16:00
IX ტური	23 აპრილი	10:30	16:00
დახურვა	23 აპრილი	20:00	20:00

10. გამარჯვებულები:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასით, მედლით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით;

- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით;
- 14, 16 და 18 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის I და II ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე შესაბამის ასაკებში. საქართველოს ჩემპიონებს ეძლევათ საგზურის არჩევის საშუალება;
- 8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის I და II ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან მსოფლიო თასზე და ევროპის ჩემპიონატზე შესაბამის ასაკებში. საქართველოს ჩემპიონებს ეძლევათ საგზურის არჩევის საშუალება;
- 2026 წლის საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატების გამარჯვებული მოჭადრაკეები განხილულნი იქნებიან შესაბამისი ასაკის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებად.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

13. სასტუმრო:

სასტუმრო "იბის სტაილს ბათუმი" * * * * (ლეხ. და მარია კაჩინსკების ქუჩა 5ბ, ახალი ბულვარი)
ტელ: (+995) 557 252025 ნანუკა, ელ-ფოსტა: ra@ibisstylesbatumi.ge
ერთადგილიანი ნომერი კვების გარეშე - 80 ლ.
ორადგილიანი სტანდარტული ნომერი კვების გარეშე - 100 ლ. (1 პერსონა 50 ლარი)
სამადგილიანი ნომერი კვების გარეშე - 120 ლ. (1 პერსონა 40 ლარი)
ოთხადგილიანი ნომერი კვების გარეშე - 160 ლ. (1 პერსონა 40 ლარი)

სასტუმრო "ჩაო" *** (ზურაბ გორგილაძის 75)
ტელ: (+995) 577 474789 ლევანი
ერთადგილიანი ნომერი კვების გარეშე - 70 ლ.
ერთადგილიანი ნომერი სამჯერადი კვებით - 130 ლ.
ორადგილიანი ნომერი კვების გარეშე - 80 ლ. (1 პერსონა 40 ლარი)
ორადგილიანი ნომერი სამჯერადი კვებით - 200 ლ. (1 პერსონა 100 ლარი)
სამადგილიანი ნომერი კვების გარეშე - 120 ლ. (1 პერსონა 40 ლარი)
სამადგილიანი ნომერი სამჯერადი კვებით - 300 ლ. (1 პერსონა 100 ლარი)

სასტუმრო "Class" (პუშკინის 67 და აბუსერიძის 13 ა)
ტელ: (+995) 593 732923
ერთადგილიანი ნომერი - 35 ლ.
ორადგილიანი ნომერი - 50 ლ. (1 პერსონა 25 ლარი)
სამადგილიანი ნომერი - 75 ლ. (1 პერსონა 25 ლარი)
ოთხადგილიანი ნომერი - 100 ლ. (1 პერსონა 25 ლარი)

ორგანიზატორთა საკონტაქტო ტელეფონი - 599 06 94 97, 558 41 09 04
ელ-ფოსტა: info@acf.ge